# პროექტის ფაქტები

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

**ფინანსური ჩართულობა და ანგარიშვალდებულება**



**განხორციელების ვადა:** 15.12.2018 - 14.12.2022

**EaP ქვეყნები:**
Georgia

**ევროკავშირის წვლილი:** € 4 500 000

**განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):**
The World Bank

**პროექტის აღწერა:**

ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველომ წარმატებით განახორციელა საგადასახადო, საბაჟო, ანტი-კორუფციული, ბიზნეს გარემოს, მმართველობისა და ფინანსური სექტორის რეფორმები. თუმცა, რეფორმების მეორე ეტაპი, რომელიც მცირე და საშუალო საწარმოების გაძლიერებას, უნარების გაუმჯობესებას, პროდუქტიულობის ამაღლებასა და საწარმოების გაზრდა-ინტერნალიზაციონალიზაციას უწყობს ხელს, უფრო მეტად კომპლექსურია და მეტ ჩართულობას საჭიროებს. გარდა ამისა, ბევრ სტრუქტურულ რეფორმასა და ბიზნესის განვითარებას უფრო გრძელვადიანი და მისაწვდომი დაფინანსება ესაჭიროება.
ეს ტექნიკური დახმარების პროექტი მხარს უჭერს საქართველოს მთავრობას, რათა შექმნას და განახორციელოს რეფორმები, რომელიც ფინანსური სექტორის დივერსიფიკაციასა და გაღრმავებას უწყობს ხელს, ასევე, აუმჯობესებს კლიენტების ფინანსურ ინკლუზიას და საფუძველს უყრის უფრო კონკურენტუნარიან, გამჭვირვალე, უკეთესად მართულ დაწესებულებებსა და ბაზრებს. პროექტი:
-ეხმარება კაპიტალური ბაზრებისთვის ხელისშემწყობი ჩარჩოს შექმნაში
-ხელს უწყობს დასაძვევო ბაზრის განვითარებითვის ჩარჩოს ჩამოყალიბებას
-აუმჯობესებს ფინანსურ ინრფასტრუქტურას და პასუხისმგებლიან ფინანსური ინკლუზიის ჩარჩოს
-ხელს უწყობს უკეთეს კორპორატიულ მმართველობასა და ანგარიშგებას.

**მოსალოდნელი შედეგები:**

1.კაპიტალის ბაზრის განვითარება
-კაპიტალის ბაზრის მოდერნიზებული საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩო
-კაპიტალის ბაზრის ინფრასტრუქტურის გაძლიერებული ზედამხედველობა
-ბაზრის შესახებ და ფიქსირებული შემოსავლის პროდუქტებისთვის გაუჯობესებული ცოდნა
2.დაზღვევის რეფორმა
-ახალი სადაზღვევო პროდუქტების შექმნისთვის ჩამოყალიბებული ხელისშემწყობი გარემო
-დაზღვევის გავრცობილი ბაზარი ახალი პროდუქტების შემოღებით
3.პასუხისმგებლიანი ფინანსური ინკლუზია
-პასუხისმგებლიანი ფინანსური სტრატეგიული ჩარჩო
-გაძლიერებული ფინანსური ინფრასტრუქტურა პასუხისმგებლიანი ფინანსირებისთვის
4.უკეთესი ფინანსური ინფორმირება და ანგარიშვალდებულება
-მცირე და საშუალო საწარმოებისთვის შექმნილი ანგარიშგების ჩარჩოები და გაუმჯობესებული უნარები
-ანგარიშგების პრაქტიკაში გაუმჯობესებული უნარები
-სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფი კომპანიების გაუმჯობესებული მმართველობა და ანგარიშვალდებულება
-ანგარიშგებისა და აუდიტის გაუმჯობესებული ხარისხი
-ანგარიშგების უკეთესი ცოდნა